ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1932 წ. დეკემბრის 10 № 23 ნაწილი პირველი

შინაარსი:

მრეწველობა.

219. სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყველა სამრეწველო საწარმოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ორგანოებში სავალდებულო საერთო რეგისტრაციის შესახებ.

220. სანაპირო რაიონებში სარეწაო-კოოპერატიული არტელებისა და ამხანაგობების წევრების სურსათით და სამრეწველო საქონლით მომარაგების სფეროში მუშებთან გათანაბრების შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

221. იმ საადგილმამულო დავების და ყველა საკითხის გადასაწყვეტად, რაც დაკავშირებულია კოლმეურნეობების მიწათსარგებლობასთან, რესპუბლიკანური და სარაიონო კომისიების დაარსების შესახებ.

222. სამანქანო - სატრაქტორო სადგურებისადმი კოლმეურნეობათა დავალიანების დაფარვის ღონისძიებათა შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

223. „სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ხაზით სადებიტორო დავალიანების დაფარვის ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 10-ის დადგენილების მოქმედების ვადის განგრძობის შესახებ.

ფინანსები.

224. აფხაზეთის ავტონომიურ სსრ-ში თამბაქოს ნათესის სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის შემოსავლიანობის შემცირებული ნორმის დაწესების შესახებ.

225. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1932 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების თაობაზე გამოცემული დადგენილებისათვის 33[1] მუხლის დამატების შესახებ.

226. „ადგილობრივ გადასახადთა“ და გამოსაღებთა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლის „ე“ პუნქტისა და მე-9 მუხლის „დ“ პუნქტის რედაქციის შეცვლის შესახებ.

227. მოსახლეობის თვითდაბეგვრის დებულების მე-4, 5, 9, 11, 12, 13, 16 და 17 მუხლებისა და მე-20 მუხლის „ა“ პუნქტის შეცვლისა და მე-14 და 15 მუხლის ამოშლის შესახებ.

სახელმწიფო დაზღვევა.

228. აფხაზეთის ავტონომიურ სსრ-ში 1933 წელს თამბაქოს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის პასუხისმგებლობის ნორმების გადიდების შესახებ.

შრომა.

229. სადგურებთან მდებარე პუნქტებში შეშის გამოზიდვისათვის შეშის დამზადების რაიონების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობის შრომის სასყიდლიან ჭაპანზიდვის ბეგარაზე გაწვევის შესახებ.

230. სამუშაო ხელფასის ფონდების აღრიცხვისა და დაგეგმვის შესახებ.

სისხლის სამართალი.

231. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61[1] მუხლის რედაქციის შეცვლისა და ამავე კოდექსის 61 მუხლის უკანასკნელი ნაწილის ამოშლის შესახებ.

232. „სახელმწიფო საწარმოთა, კოლექტიურ მეურნეობათა და კოოპერაციის ქონების დაცვის და საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების განმტკიცების თაობაზე" გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის აგვისტოს 7-ის დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განხორციელების შესახებ.

მრეწველობა

219. დადგენილება ს.კ.ს.

სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყველა სამრეწველო საწარმოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ორგანოებში სავალდებულო საერთო რეგისტრაციის შესახებ.

რათა უზრუნველყოფილ იქნეს სისტემატიური აღნუსხვა სოციალისტური მრეწველობის ყველა იმ საწარმოსი, რომელიც სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას და დაწესებულებას ეკუთვნის, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყველა სამრეწველო საწარმოს—დარეგისტრდეს ყოველწლივ საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ორგანოში საწარმოს სამყოფელი ადგილის მიხედვით.

2. ამასთან ერთად, ყველა ახლად აგებულმა და ამუშავებულმა საწარმომ, აგრეთვე ახლად დაარსებულმა, სხვა უწყებათა და ორგანიზაციაში გადასულმა, დაწვრილებისა და შეერთების წესით ახლად მოწყობილმა, ლიკვიდირებულმა და სახელწოდება-გამოცვლილმა ყველა საწარმომ 10 დღის ვადაზე უნდა აცნობოს სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს სათანადო სარაიონო ორგანოს საწარმოს ამუშავება ან დაარეგისტროს ამ ორგანოში ესა თუ ის მომხდარი ცვლილება.

3. რეგისტრაციის წესსა და ფორმას ამყარებს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველო.

4. 1932 წელს სამრეწველო საწარმოთა ერთდროული საერთო რეგისტრაცია ჩატარებულ იქნეს სექტემბრის 15-მდე იმ მდგომარეობის მიხედვით, რა მდგომარეობაშიაც ეს საწარმონი იყვნენ ა/წ. ივლისის 1-თვის; ამასთან ერთად, ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს სამრეწველო საწარმოთა მოქმედება 1932 წლის პირველ ნახევარ წლის განმავლობაში—სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს მიერ შემუშავებული პროგრამის თანახმად (საწარმოს პასპორტი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. წინადადება მიეცეს ყველა უწყებას და ორგანიზაციას (სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივს), რომლის გამგებლობაშიაც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფი სამრეწველო საწარმოა, უზრუნველყოს მისი ქვემდებარე ყველა საწარმოს ამომწურავი და სრული რეგისტრაცია სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ორგანოებში, საწარმოს სამყოფელი ადგილის მიხედვით.

6. პასუხისმგებლობა რეგისტრაციისაგან თავის არიდებისათვის ან არა თავის დროზე რეგისტრაციისათვის დაეკისროს საწარმოთა დირექტორებს და გამგეებს.

7. წინადადება მიეცეს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს—ყოველმხრივ ხელი შეუწყონ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს და მის წარმომადგენლებს ადგილებზე, რათა სოციალისტური მრეწველობის ყველა საწარმო სრულად იქნეს აღნუსხული.

8. მიენდოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—გამოსცენ სათანადო დადგენილებანი, რაც უზრუნველყოფს განსაზოგადოებული სექტორის ყველა სამრეწველო საწარმოს (სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციისას) ამომწურავი რეგისტრაციის ჩატარებას ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. სექტემბრის 4.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 209 №-ში 1932 წ. სექტემბრის 6.

---

220. დადგენილება ს.კ.ს.

სანაპირო რაიონებში სარეწაო-კოოპერატიული არტელებისა და ამხანაგობების წევრების სასურსათო და სამრეწველო საქონლით მომარაგების სფეროში მუშებთან გათანასწორების შესახებ.

„სანაპირო რაიონებში სარეწაო-კოოპერატიული არტელებისა და ამხანაგობების წევრთა მატერიალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გაუმჯობესების შესახებ" გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივნისის 7-ის თარიღისა და 39/342 №-ის დადგენილების მე-2 მუხლისა და ამავე საკითხზე გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აგვისტოს 15-ის დადგენილების (განმწესრ. სხდ. ოქმი № 21, § 69) შესაბამისად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სანაპირო რაიონებში სარეწაო კოოპერაციის წევრები, რომელნიც საერთ სახელოსნოებში მუშაობენ, აგრეთვე სამშენებლო და სატრანსპორტო არტელ

ბის წევრები, ტორფის, ქვანახშირის და მინერალური სასუქის ამომღები არტელების წევრები, ტყე-ქიმიურ რეწაობაში (სხვათა შორის ნახშირის გამოწვა), ტყის დამზადებაზე და ტყის წყლით ჩამოტივტივებაზე, მაგარი და რბილი ტარას დამზადებაზე, საქარავნო მშენებლობაზე და სახომუტო კუნძურების კეთებაზე მომუშავე არტელების წევრები, თევზთასვლის საქმეზე მომუშავე არტელების წევრები, სპეციალური შეკეთების აღმასრულებელი არტელების წევრები, საშენი მასალის დამმზადებელი არტელების წევრები და საექსპორტო ნაკვეთობათა დამმზადებელი არტელების წევრები გათანაბრებულ იქნენ სურსათით და სამრეწველო საქონლით მომარაგების მხრით სათანადო რაიონების ინდუსტრიალურ მუშებთან და ყველა სხვა არტელის და ამხანაგობის წევრები არაინდუსტრიალურ მუშებთან.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. ოქტომბრის 4.

ტფილისი.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

221. დადგენილება ც.ა.კ.

იმ საადგილმამულო დავების და ყველა საკითხის გადასაწყვეტად, რაც დაკავშირებულია კოლმეურნეობების მიწათსარგებლობასთან, რესპუბლიკანური და სარაიონო კომისიების დაარსების შესახებ.

თანახმად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლ. სექტემბრის 3-ის დადგენილებისა „კოლმეურნეობათა მტკიცე მიწათსარგებლობის შექმნის შესახებ (გაზ. „იზვესტია“ 1932 წ. სექტემბრის 4-ისა; „ზარია ვოსტოკა“ 1932 წ. სექტემბრის 5-ისა და „კომუნისტი“ 1932 წლ. სექტემბრის 5-ისა), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. იმ საადგილმამულო დავებისა და ყველა საკითხის გადასაწყვეტად, რაც დაკავშირებულია კოლმეურნეობების მიწათსარგებლობასთან, დაარსდეს საქ. სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან რესპუბლიკანური საადგილ-მამულო კომისია, ხოლო რაიონებში სარაიონო საადგილ-მამულო კომისიები.

2. რესპუბლიკანური საადგილ-მამულო კომისია დამტკიცდეს შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე ამხ. მათიკაშვილი (მიწსახკომი), წევრები: ამხ. მეგრელიშვილი (მიწსახკომი), წულუკიძე და ნამგალაძე (საქ. საკოლმეურნეო ცენტრი), ურუშაძე (ტრაქტორცენტრი).

3. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და იმ ქალაქების საბჭოების პრეზიდიუმებს, რომლებზედაც მიმაგრებულია სოფლები, დაამტკიცონ სამი დღის განმავლობაში სარაიონო საადგილმამულო კომისიები შემდეგი პერსონალური შედგენილობით: თავმჯდომარე—მიწათმოქმედების გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილების გამგე, წევრები: სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექტორი, სარაიონო აგრონომი და კოლმეურნეობათა ორი თავმჯდომარე.

4. მიენდოს აფხაზეთის ასსრ, აჭარისტანის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს დაარსონ ანალოგიური შედგენილობის საადგილმამულო კომისიები.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მ. დ. ა. **ვ. ქურდაძე.**

1932 წ. სექტემბრის 15.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 220 №-ში 1932 წ. სექტემბრის 21.

---

222. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისადმი კოლმეურნეობათა დავალიანების დაფარვის ღონისძიებათა შესახებ.

რათა კოლმეურნეობათა დავალიანება სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიმართ რაც შეიძლება სწრაფად იქნეს დაფარული და მოწესრიგდეს ამასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მოეწყოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისადმი კოლმეურნეობათა დავალიანების სალიკვიდაციო სპეციალური კომისიები, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის (ან თავმჯდომარის მოადგილის) თავმჯდომარეობით და კოლექტიურ მეურნეობათა სარაიონო კავშირის წარმომადგენლისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექტორის (ან მისი მოადგილის) შედგენილობით.

2. დაევალოს აღნიშნულ კომისიებს გამოარკვიონ და შეამოწმონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისადმი რაიონის ტერიტორიაზე მდებარე თვითეული კოლმეურნეობის დავალიანების თანხა და იხმარონ ღონისძიება, რათა ეს დავალიანება რაც შეიძლება ჩქარა იქნეს დაფარული.

3. უფლება მიეცეს აღნიშნულ კომისიებს გადაწყვიტონ, სახელმწიფო არბიტრაჟის უფლებით, მათი მუშაობის პროცესში კოლმეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს შორის აღძრული ყველა დავა, მათ შორის ისეთი დავაც, რომლის თანხა 1.000 მანეთზე ნაკლებია, და გამოიტანონ დადგენილებანი, რაც სავალდებულო იქნება აღსასრულებლად იძულებითი წესით.

4. უფლება მიეცეს ზემოაღნიშნულ კომისიებს—შესაძლებლად სცნონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისადმი დავალიანების დაფარვის ვადის განაწილება მცირეძალოვან კოლმეურნეობათათვის და დააწესონ ამ დავალიანების გადახდის ვადები საკოლმეურნეო წარმოების პროდუქტების რეალიზაციის ვადების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დაევალოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისადმი კოლმეურნეობათა დავალიანების სალიკვიდაციო სარაიონო კომისიებს დაამთავრონ დაკისრებული მოვალეობის შესრულება ორი თვის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

6. საერთო ზედამხედველობა სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისადმი კოლმეურნეობათა დავალიანების სალიკვიდაციო სარაიონო კომისიების მოქმედებისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან განწესებულ მთავარ არბიტრს.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ხუთი დღის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან გამოსცეს, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან, სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის სამხარეო კონტორასთან და მთავარ არბიტრთან, (რომელიც განწესებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან) შეთანხმებით, ინსტრუქცია სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისადმი კოლმეურნეობათა დავალიანების სალიკვიდაციო სარაიონო კომისიების მუშაობის შესახებ.

8. დაევალოს საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე ამა დადგენილებიდან გამომდინარე ღონისძიებანი.

სრ, საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მ.დ.ა. **ვ. ქურდაძე.**

1932 წ. სექტემბრის 5.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 218 №-ში 1932 წ. სექტემბრის 18.

ვაჭრობა. მოსმარაგება

223. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ხაზით სადებიტორო დავალიანების დაფარვის ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 10-ის დადგენილების მოქმედების ვადის განგრძობის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ხაზით სადებიტორო დავალიანების დაფარვის ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 10-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-13 №-ი, მუხ. 103 და 104; მე-20 №-ი, მუხ. 164) მოქმედების ვადა განგრძობილ იქნეს 1932 წ. დეკემბრის 1-მდე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივნის მ.დ.ა. **ვ. ქურდაძე.**

1932 წ. სექტემბრის 11.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 214 №-ში 1932 წ. სექტემბრის 14.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

224. დადგენილება ს.კ.ს.

აფხაზეთის ავტონომიურ სსრ-ში თამბაქოს ნათესის სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის შემოსავლიანობის შემცირებული ნორმის დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1932 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების თაობაზე გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის მაისის 26-ის დადგენილების (კან. კრ. 1932 წ. 12 №-ი, მუხ. 87; 21 №-ი, მუხ. 201) 35 მუხლის იმ ნაწილის შესაცვლელად, რაც აფხაზეთის ავტ. სსრ-ში თამბაქოს შემოსავლიანობის ნორმას შეეხება,—დაწესებულ იქნეს აფხაზეთის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკისათვის 1 ჰექტარი თამბაქოს პლანტაციის შემოსავლიანობის ნორმად 196 მან.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. სექტემბრის 14.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 220 №-ში 1932 წ. სექტემბრის 21.

---

225. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1932 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების თაობაზე გამოცემული დადგენილებისათვის 33[1] მუხლის დამატების შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის აგვისტოს 17-ის თარიღისა და 45/1236 №-ის დადგენილების შესაბამისად (სსრ კავშირის ცაკ-ის და სრ. რუსეთის ცაკ-ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

„იზვესტია“ 1932 წ. № 228), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1932 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების თაობაზე გამოცემულ 1932 წლის მაისის 26-ის დადგენილებას (კან. კრ. 1932 წ. 12 №-ი, მუხ. 87) დაემატოს 33¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა):

„33¹. სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლდება რკინის გზის ტრანსპორტის სახაზო მომუშავეთა შემოსავალი სოფლის მეურნეობის ყოველგვარი დარგიდან რკინის გზისათვის მიჩენილ ზოლში“.

საქ. სსრ ს.კ-ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. ოქტომბრის 4.

ტფილისი.

---

226. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლის „ე“ პუნქტისა და მე-9 მუხლის „დ“ პუნქტის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 3-ის დადგენილებაში „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-5 მუხლის „ე“ პუნქტი (კან. კრ. 1931 წ. მე-6 №-ი, მუხ. 71); მე-18 №-ი, მუხ. 196 და 21 №-ი, მუხ. 223) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[5. სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადისაგან განთავისუფლდება:....]

„ე) მილიციის ოპერატიულ-სამწყობრო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობისა და შრომა-გასწორების დაწესებულებათა ოპერატიული და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის მომუშავისა და მისი ოჯახის ერთი ცხენი, უკეთუ იგი გამოიყენება მარტოოდენ საოჯახო საჭიროებისათვის და აგრეთვე ერთი ველოსიპედი“.

2. მე-9 მუხლის „დ“ პუნქტი (კან. კრ. 1931 წ. მე-6 №-ი, მუხ. 71 და 21 №-ი, მუხ. 223) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[9. ოთხფეხი საქონლის გადასახადისაგან ქალაქად განთავისუფლდება:.....]

„დ) მილიციის ოპერატიულ-სამწყობრო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობისა და შრომა-გასწორების დაწესებულებათა ოპერატიული და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის მომუშავის და მისი ოჯახისა ... ფეხი საქონელი—ერთი სული".

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მ.დ.ა. **ვ. ჭურდაძე.**

1932 წ. სექტემბრის 13.
ტფილისი.

---

227. დადგენილება ს.კ.ს.

მოსახლეობის თვითდაბეგვრის დებულების მე-4, 5, 9, 11, 12, 13, 16 და 17 მუხლებისა და მე-20 მუხლის „ა" პუნქტის შეცვლისა და მე-14 და 15 მუხლის ამოშლის შესახებ.

„სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ" გამოცემული სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აგვისტოს 27-ის დადგენილების შესაბამისად („სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის იზვესტია"-ს 1932 წ. 238 №-ი) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 24-ის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-17 №-ი, მუხ. 184; 24 №-ი, მუხ. 257) დამტკიცებულ დებულებაში მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-4, 5, 9, 11, 12, 13, 16 და მე-17 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„4. თვითდაბეგვრაში მონაწილეობას იღებენ:

ა) კოლმეურნენი, რომელთაც აქვთ თუ არა აქვთ განუსაზოგადოებელი შემოსავალი;

ბ) ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობანი;

გ) სხვა ის მოქალაქენი (მუშა, მოსამსახურე, შინამრეწველი, ხელოსანი და სხვ.), რომელნიც მუდმივად ცხოვრობენ უწყებულ სოფელში, თუნდაც ისინი სოფლის მეურნეობას არ ეწეოდენ".

„5. თვითდაბეგვრისაგან განთავისუფლებული არიან შემდეგი კატეგორიები სოფლად და საგარაკო დაბებში მცხოვრებ მოქალაქეთაგან, რომელნიც საოფლო მეურნეობას არ ეწევიან:

ა) მუშა, მოსამსახურე, კოოპერირებული შინამრეწველი და ხელოსანი, უკეთუ მისი თვიური საშოვარი 40 მან. არ აღემატება;

ბ) საკადრო მერიგეთა და თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახური, გარდა ხანგრძლივ შვებულებაში მყოფისა; რეზერვში მყოფი თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახური; მუშათა და გლეხთა მილიციის სამწყობრო შედგენილობის პირი, გამხედროებული დაცვისა (მათ შორის გამხედროებული სახანძრო დაცვის) და შრომა-გასწორების დაწესებულებათა თანამშრომელი;

გ) სსრკ-ისა, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ერთ-ერთი ორდენით ან საპატიო რევოლუციონური იარაღით დაჯილდოებული პირი და შრომის გმირი;

დ) ომის ინვალიდი;

ე) პენსიონერი, რომელიც პენსიას სახელმწიფო ორგანოსაგან ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან იღებს და რომელსაც სხვა შემოსავალი არა აქვს;

ვ) შრომის ინვალიდი, რომელიც მიკუთვნებულია ინვალიდობის პირველი, მეორე და მესამე ჯგუფისათვის".

„9. მოქალაქეთა საერთო კრების დადგენილებაში თვითდაბეგვრის შემოღების შესახებ აღნიშნულ უნდა იქნეს:

ა) მიზანი და ღონისძიება, რისთვისაც თვითდაბეგვრა შემოიღება;

ბ) თვითდაბეგვრის პროცენტი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხის მიმართ;

გ) თვითდაბეგვრის განაკვეთი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულ კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეობათათვის, რომელნიც ფულს თვითდაბეგვრისათვის მტკიცე განაკვეთებით იხდიან;

დ) თვითდაბეგვრის წესით, შესატანის გადახდის ვადა".

„11. კოლმეურნის მეურნეობა, რომელსაც აქვს არაგანსაზოგადოებული შემოსავალი, მონაწილეობას იღებს თვითდაბეგვრაში შემდეგი რაოდენობით:

ა) კოლმეურნე, რომელიც მიმდინარე საგადასახადო წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადით პროგრესიულად იბეგრება, მონაწილეობას იღებს თვითდაბეგვრაში 10-დან 14-დე მან. რაოდენობით მეურნეობაზე;

ბ) კოლმეურნე, როგორც განთავისუფლებული მიმდინარე საგადასახადო წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, ისე დაბეგრილი ამ გადასახადით მტკიცე განაკვეთების კვალობაზე, მონაწილეობას იღებს თვითდაბეგვრაში 5-დან 8-მდე მან. რაოდენობით მეურნეობაზე;

გ) კოლმეურნე, რომელსაც არაგანსაზოგადოებული შემოსავალი არა აქვს, მონაწილეობას იღებს თვითდაბეგვრაში 5 მან. რაოდენობით მეურნეობაზე.

სასოფლო საბჭოს უფლება აქვს გაანთავისუფლოს ნაწილობრივ ან მთლად თვითდაბეგვრისაგან იმ კოლმეურნის მეურნეობა, რომელიც განთავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან მიმდინარე საგადასახადო წელს.

ის ინდივიდუალური მეურნეობა, რომელიც შევიდა კოლექტიურ მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრი ობიექტების აღნუსხვის შემდეგ, ხოლო უწყებულ სოფელში თვითდაბეგვრის გაფორმებამდე, თვითდაბეგვრის თანხას გადაიხდის კოლმეურნეთათვის დადგენილი რაოდენობით".

„12. ინდივიდუალური შრომითი მეურნეობა მონაწილეობას იღებს თვითდაბეგვრაში შემდეგი რაოდენობით:

ა) ინდივიდუალური მეურნეობა, რომელიც მიმდინარე საგადასახადო წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრილია მტკიცე განაკვეთების კვალობაზე, მონაწილეობას იღებს თვითდაბეგვრაში 12-დან 18-მდე მან. რაოდენობით მეურნეობაზე;

ბ) ინდივიდუალური მეურნეობა, რომელიც მიმდინარე საგადასახადო წელს დაბეგვრილია სასოფლო-სამეურნეო გადასახადით პროგრესიულად, მონაწილეობას იღებს თვითდაბეგვრაში მიმდინარე საგადასახადო წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 100-დან 150-დე პროცენტის რაოდენობით, ხოლო არა ნაკლებ იმ განაკვეთისა, რაც დადგენილია უწყებულ სოფელში იმ ინდივიდუალური მეურნეობებისათვის, რომელნიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრილ არიან მტკიცე განაკვეთების კვალობაზე;

გ) ინდივიდუალური მეურნეობა, რომელიც მიმდინარე საგადასახადო წელს განთავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, მონაწილეობას იღებს თვითდაბეგვრაში 8-დან 12-დე მან. რაოდენობით მეურნეობაზე.

სასოფლო საბჭოს უფლება აქვს გაანთავისუფლოს ნაწილობრივ ან მთლად თვითდაბეგვრისაგან ცალკეული ინდივიდუალური მეურნეობა, რომელიც მიმდინარე საგადასახადო წელს განთავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან“.

„13. კულაკური მეურნეობა მონაწილეობას იღებს თვითდაბეგვრაში მიმდინარე საგადასახადო წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 200%-ის რაოდენობით“.

„16. არაშრომითი შემოსავლის მქონე მოქალაქე და აგრეთვე არასამიწათმოქმედო სამუშაო საშოვრის მქონე პირი, რომელიც დაბეგვრილია საშემოსავლო გადასახადით ან განთავისუფლებულია ამ გადასახადისაგან, გარდა მე-17 მუხლში აღნიშნული პირებისა (რომელთაც აქვთ მეეტლეობისა და სადგომის გაქირავების შემოსავალი, უკეთუ ეს არ არის საბაბი მათი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ დაბეგვრისათვის, და სხვა მისთ.), მონაწილეობას იღებს თვითდაბეგვრაში იმ თანხის 100%-ის რაოდენობით, რაც მას უნდა გადაეხადა, რომ თავისი შემოსავლის კვალობაზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრილი ყოფილიყო“.

„17. სოფლად მცხოვრები მუშა და მოსამსახურე, შინამრეწველი და ხელოსანი, რომელიც სოფლის მეურნეობას არ ეწევა, მონაწილეობას იღებს თვითდაბეგვრაში მტკიცე განაკვეთების კვალობაზე იმის მიხედვით, თუ რა სამუშაო საშოვარი აქვს,—შემდეგი ცხრილის თანახმად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

| თვიური სამუშაო საშოვრის რაოდენობა მანეთობით | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო დაზღვევა

228. დადგენილება ს.კ.ს.

აფხაზეთის ავტონომიურ სსრ-ში 1933 წელს თამბაქოს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის პასუხისმგებლობის ნორმების გადიდების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

გადიდებულ იქნეს აფხაზეთის ავტონომიურ სსრ-ში 1933 წელს თამბაქოს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის პასუხისმგებლობის ნორმები და „საქართველოს სსრ-ის სოფლებსა და ქალაქებში 1933 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივლისის 4-ის დადგენილების მე-2 დანართის მე-13 პუნქტისა და მე-4 დანართის მე-8 პუნქტის სათანადო ნაწილების შესაცვლელად (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-18 №-ი, მუხ. 143) დადგენილ იქნეს პასუხისმგებლობის შემდეგი ნორმები მანეთობით აფხაზეთის ავტონომიურ სსრ-ში ერთ ჰექტარ თამბაქოს ნათესზე:

1) მე-2 დანართში—დასეტყვისაგან სასოფლო-სამეურნეო მცენარეების დაზღვევის სადაზღვევო საზღაურის ნორმები—მე-13 პუნქტით:

ყვითელი თამბაქო აფხაზეთში:

კოლექტიურ მეურნეობებისა	1.200 მან.
კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მშრომელი მეურნეობებისა	900 „

(დანარჩენი ნაწილი პუნქტისა დატოვებულ იქნეს უცვლელად)

2) მე-4 დანართში—მოუსავლიანობისაგან სასოფლო-სამეურნეო მცენარეების დაზღვევის სადაზღვევო პასუხისმგებლობის ზღვრული ნორმები—მე-8 პუნქტით:

სამსუნის თამბაქო აფხაზეთში:

კოლექტიურ მეურნეობებისა	1.440 მან.
კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მშრომელი მეურნეობებისა . .	1.200 „

(დანარჩენი ნაწილი პუნქტისა დატოვებულ იქნეს უცვლელად).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. სექტემბრის 14.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 217 №-ში 1932 წ. სექტემბრის 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ რ ო მ ა

229. დადგენილება ს.კ.ს.

სადგურებთან მდებარე პუნქტებში შეშის გამოზიდვისათვის შეშის დამზადების რაიონების მოსახლეობის შრომის სასყიდლიან ჭაპანზიდვის ბეგარაზე გაწვევის შესახებ.

შეშის დამზადების რაიონებიდან სადგურებთან მდებარე პუნქტებში შეშის გამოზიდვის გეგმის აღსრულების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული რაიონების მოსახლეობა გაწვეულ იქნეს შრომის სასყიდლიან ჭაპანზიდვის ბეგარაზე 1932 წლის ოქტომბრის 15-დან დეკემბრის 31-დე.

შენიშვნა. ეს ბეგარა ცხენებზე არ ვრცელდება.

2. აღნიშნული ბეგარით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შეშის დამმზადებელი ორგანოებისათვის წინა მუხლით გათვალისწინებული პერიოდის განმავლობაში ჭაპანზიდვის ძალის გადაცემა:

ა) ფოთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობისათვის; ხობის, ლანჩხუთის და სენაკის რაიონებიდან;

ბ) ზუგდიდის სატყეო-სამრეწველო მეურნეობისათვის—ზუგდიდის რაიონიდან;

გ) ბორჩალოს სატყეო-სამრეწველო მეურნეობისათვის—ლუქსემბურგისა და ბორჩალოს რაიონებიდან;

დ) გურჯაანის სატყეო-სამრეწველო მეურნეობისათვის—გურჯაანის და სიღნაღის რაიონებიდან;

ე) ტფილისის სატყეო-სამრეწველო მეურნეობისათვის—მცხეთისა, გარეკახეთისა, ტფილისის გარეუბნისა, დუშეთისა და თიანეთის რაონებიდან;

ვ) თელავის სატყეო-სამრეწველო მეურნეობისათვის—თელავის რაიონიდან;

ზ) კასპის სატყეო-სამრეწველო მეურნეობისათვის—კასპის რაიონიდან;

თ) ჭიათურის სატყეო-სამრეწველო მეურნეობისათვის ჭიათურის რაიონიდან;

ი) ხორაგოულის სატყეო-სამრეწველო მეურნეობისათვის—ხოროგულის რაიონიდან;

კ) ჭურისხევის და სტალინირის სატყეო-სამრეწველო მეურნეობებისათვის—სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქიდან.

3. ამა დადგენილებაში აღნიშნული შრომის ჭაპანზიდვის ბეგარის შეფარდების დროს ზედმიწევნით შესრულებულ უნდა იქნეს გაწვეულ მეურნეობათა მიმართ ის პირობები, რაც გათვალისწინებულია „სოფლის მეურნეობაში და ჭაპანზიდვის ტრანსპორტში საწევი ძალის დაცვისა და გამრავლებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრა

ლური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატ-საბჭოს 1931 წ. თებერვლის 11-ის დადგენილების მე-3 მუხლში (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-5 №-ი, მუხ. 57).

ამა დადგენილების წესით გასაწვევი თვითეული უღელი მუშა-საქონლის გამოყენების დრო არ შეიძლება აღემატებოდეს, ყოველ შემთხვევაში ხუთ დღეს.

შენიშვნა. ის დრო, რასაც გაწვეული საჭაპანზიდვო ძალა და სატრანსპორტო საშუალება გზაში გაატარებს თავის სამყოფელ ადგილიდან სამუშაოს ადგილამდე, ბეგარის ანგარიშში ჩაითვლება და ამ დროისათვის სასყიდელი გადახდილ უნდა იქნეს.

4. ამა დადგენილების წესით გასაწვევი საჭაპანზიდვო ძალისა და სატრანსპორტო საშუალების სამუშაოზე გაყვანის საკალენდრო გეგმები დადგენილ უნდა იქნეს სატყეო-სამრეწველო მეურნეობათა დირექტორებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების შეთანხმებით, ხოლო მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში—აგრეთვე კოლექტიურ მეურნეობათა სათანადო სარაიონო კავშირებთან შეთანხმებით.

საჭაპანზიდვო ძალისა და სატრასპორტო საშუალების სამუშაოზე გაყვანას ანხორციელებენ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების განკარგულებით: ინდივიდუალური სექტორის ხაზით—სათანადო სასოფლო საბჭოები, ხოლო საკოლმეურნეო სექტორის ხაზით—კოლექტიურ მეურნეობათა გამგეობები.

შეშის გამოზიდვის ორგანიზაცია ამა დადგენილებით გათვალისწინებული წესისამებრ ეკისრება სათანადო შეშის დამმზადებელ ორგანოებს.

5. სასყიდელს ამა დადგენილების წესისამებრ შესრულებული სამუშაოსათვის იხდიან შეშის დამმზადებელი ორგანოები უწყებულ ადგილას არსებული შეფასების მიხედვით.

შეშის დამმზადებელი ორგანოები მოვალენი არიან უზრუნველყონ საჭაპანზიდვო ძალის თანგამყოლი მესაზიდავენი სურსათით.

6. წინადადება მიეცეს ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—იხმარონ ღონისძიებანი ამა დადგენილების თავის დროზე და სისრულით განხორციელებისათვის,

მიენდოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—განახორციელოს ოლქის ტერიტორიაზე ამა დადგენილებიდან გამომდინარე ღონისძიებანი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. ოქტომბრის 4.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 240 №-ში 1932 წ. ოქტომბრის 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

230. დადგენილება ს.კ.ს.

სამუშაო ხელფასის ფონდების აღრიცხვისა და დაგეგმვის შესახებ.

სამუშაო ხელფასის ფონდების აღრიცხვის და დაგეგმვის მოსაწესრიგებლად და „სამუშაო ხელფასის ფონდების აღრიცხვის საქმის დაყენების შესახებ“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1932 წ. ივნისის 6-ის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 47 №-ი, მუხ. 278) და „სამუშაო ხელფასის ფონდების აღრიცხვის და დაგეგმვის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აგვისტოს 1-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკა“-ს 1932 წ. 176 №-ი) შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ყველა უწყებას და ორგანიზაციას—დაამყაროს მომუშავეთა რიცხვისა და სამუშაო ხელფასის ფონდების რაოდენობის მიმდინარე პერიოდული ანგარიშგება მისი ქვემდებარე საწარმოთა და დაწესებულებათა მთელი სისტემისათვის.

სამრეწველო, სამშენებლო და სატრანსპორტო საწარმოთა და საბჭოთა მეურნეობების ხაზით ანგარიშგება შედგენილ უნდა იქნეს ყოველთვიურად, ხოლო სხვა დარგების ხაზით—კვარტალურად.

ანგარიშგებით მოცულ უნდა იქნეს საწარმოთა და დაწესებულებათა მთელი პერსონალი; ამასთანავე, სამრეწველო, სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ხაზით იგი დანაწილდება მომუშავეთა ჯგუფებზე (მუშები, მოსამსახურეები, საინჟენერო-სატექნიკო პერსონალი, უმცროსი მოსამსახურე პერსონალი და შეგირდები), ხოლო სხვა დარგების საწარმოთა და დაწესებულებათა ხაზით—მთელ პერსონალზე ერთიანად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და მათთან გათანასწორებულ ცენტრალურ უწყებებს—უზრუნველყონ პერიოდული (ქვემოაღნიშნულ ვადებზე) შეჯუმლვა და საქართველოს სსრ სახალხო სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოში წარდგენა სრული ცნობებისა მომუშავეთა რიცხვის და სამუშაო ხელფასის ფონდების რაოდენობის შესახებ.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ყველა უწყებას და ორგანიზაციას, უწყებებისა და შენაერთების ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობით, უზრუნველყოს მთელი უწყების ერთიანი ჯუმლის წარდგენა საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოში რაიონობითი ხაზით არა უგვიანეს 40 დღისა საანგარიშო კვარტალის დამთავრების შემდეგ.

შენიშვნა 1. ამა მუხლში აღნიშნული წესი შემოღებულ იქნეს მიმდინარე წლის მე-3 კვარტალიდან; თანაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს 1932 წლის 1-ლი და მე-2 კვარტალის ჯუმლების აუცილებლად მიღება.

შენიშვნა 2. ჯუმლები შედგენილ უნდა იქნეს შენაერთებისათვის და სადარგო ხაზით სსრკ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართველოს სპეციალური ინსტრუქციით დაწესებულ დარგთა ერთიანი ნომენკლატურის თანახმად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ყველა უწყებას და ორგანიზაციას—სამუშაო ხელფასის დასაგეგმავ ფონდებში და სამუშაო ხელფასის გაცემის ანგარიშგებაში საგასავლო მუხლების განკუთვნის დროს იხელმძღვანელოს სამუშაო ხელფასის საგასავლო მუხლების ერთიანი ნომენკლატურა სსრკ-ის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს მიერ გამოცემული სპეციალური ინსტრუქციის თანახმად.

5. დაევალოს ყველა საწარმოს და შენაერთს—სამუშაო ხელფასის მისაღებად სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში წარსადგენ სასყიდლის გადახდის დოკუმენტებში შეიტანოს ყველა ის ხარჯი, რაც სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს ინსტრუქციით მიკუთვნებულია სამუშაო ხელფასის ფონდისათვის.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ყველა უწყებას და ორგანიზაციას—ანგარიშგების ფორმებისა და ანგარიშგების მსვლელობის წესის დადგენის დროს იხელმძღვანელოს სასოფლო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს სპეციალური ინსტრუქციები.

7. დაევალოს საქართველოს სსრ ყველა უწყებას და ორგანიზაციას—წარადგინოს ორი დეკადის ვადაზე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში თავისი ქვემდებარე ყველა საწარმოს და დაწესებულების (საწარმოო, სამომსახურო, სამმართველო და სხვ.) 1932 წლის მეორე ნახევარწლის დაზუსტებული საგეგმო ფონდი სამუშაო ხელფასისა (კვარტალებზე დაყოფით) და უზრუნველყოს შემდგომში სამუშაო ხელფასის საგეგმო ფონდის საწარმოსათვის მიწოდება საერთო კვარტალურ სამრეწველო-საფინანსო გეგმასთან ერთად.

შენიშვნა 1. სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში კვარტალის პირველი თვის საკასო გეგმების წარდგენის დროს, როდესაც საწარმოთ და დაწესებულებათ ჯერ კიდევ მიღებული არა აქვთ დამტკიცებული საგეგმო ფონდები, საკასო გეგმებში აღსანიშნავი სამუშაო ხელფასის ხარჯები გამოანგარიშებულ უნდა იქნეს მათ მიერ ნაპროექტევ სამუშაო ხელფასის ფონდის თანახმად.

შენიშვნა 2. კვარტალის მეორე და მესამე თვისთვის სამუშაო ხელფასის ხარჯები შეიტანება საკასო გეგმაში უწყებისა და შენაერთის მიერ. თვითეული საწარმოსათვის და დაწესებულებისათვის მიწოდებული სამუშაო ხელფასის საგეგმო ფონდების შესაბამისად.

8. დაევალოს საქართველოს სსრ ყველა უწყებას და ორგანიზაციას—უწყებისა და საწარმოსათვის სამუშაო ხელფასის კვარტალური საგეგმო ფონდების მიწოდებასთან ერთად ამ საგეგმო ფონდების ასლები წარუდგინოს სახელმწიფო ბანკის სათანადო დაწესებულებას საწარმოს (დაწესებულების) სამყოფელი ადგილის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა განახორციელონ აღნიშნული რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე ანალოგიური ღონისძიებანი.

საქ. სსრ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. ოქტომბრის 4.

ტფილისი.

სისხლის სამართალი

231. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61[1] მუხლის რედაქციის შეცვლისა და ამავე კოდექსის 61 მუხლის უკანასკნელი ნაწილის ამოშლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

1. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის (საქართველოს სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-6 №-ი, მუხ. 66) 61[1] მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„61[1]. თავის სპეციალობაში მუშაობაზე ან თავის სპეციალობაში მუშაობისათვის ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადასვლაზე უარის თქმა ან ამ მუშაობისაგან და გადასვლისაგან თავის არიდება იმ პირის მიერ, ვინც საამისოდ ვალდებულია კანონის მიხედვით ან კანონით უფლებამოსილი ორგანოს დადგენილებით, გამოიწვევს

იძულებით მუშაობას ექვს თვემდე ან ჯარიმას ერთი ათას მანეთამდე“.

2. იმავე კოდექსის (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 22 №-ი, მუხ. 255) 61 მუხლის უკანასკნელი ნაწილი ამოიშალოს.

II.

„სახელმწიფოს მიერ სტუდენტ-სტიპენდიატებზე გაწეული ხარჯის ანაზღაურების შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის თებერვლის 28-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-2 №-ი, მუხ. 37; 1928 წ. მე-9 №-ი, მუხ. 85) მე-7 მუხლის შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

შენიშვნა. უკეთუ ყოფილი სტიპენდიანტი უარს იტყვის სავალდებულო სამსახურის შესრულებაზე ან ამ სამსახურს თავს აარიდებს, მას გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახდება ყველა ის ხარჯი, რაც მისი შენახვისა და სწავლისათვის სახელმწიფომ გასწია. გადახდევინებული თანხა შედის სასტიპენდიო ფონდში.

ამის გარდა, აღნიშნული პირი მიიცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61[1] მუხლის თანახმად".

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივნის მ. დ. ა. **ვ. ქურდაძე.**

1932 წ. სექტემბრის 13.

ტფილისი.

---

232. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„სახელმწიფო საწარმოთა, კოლექტიურ მეურნეობათა და კოოპერაციის ქონების დაცვისა და საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების განმტკიცების თაობაზე" გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის აგვისტოს 7-ის დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განხორციელების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქმეები იმ დანაშაულთა შესახებ, რაც აღნიშნულია სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აგვისტოს 7-ის დადგენილებაში „სახელმწიფო საწარმოთა, კოლექტიურ მეურნეობათა და კოოპერაციის ქონების დაცვისა და საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების განმტკიცების შესახებ" (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 62 №-ი, მუხ. 360) დაექვემდებაროს, გარდა სარკინისგზო ტრანსპორტზე ტვირთის მტაცებლობის საქმეებისა, საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს, აფხაზეთის ავტ. სსრ უმაღლეს სასამართლოს, აჭარისტანის ავტ. სსრ უზენაეს სასამართლოს და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის მთავარ სასამართლოს—კუთვნილებისამებრ.

ამასთანავე, უფლება მიეცეს ამა მუხლში ჩამოთვლილ უმაღლეს სასამართლო ორგანოებს—მიანდონ ხოლმე სახალხო სასამართლოებს უფრო ნაკლები მნიშვნელობის საქმეთა განხილვა.

2. წინადადება მიეცეს სასამართლო ორგანოებს—შეუფარდონ იმ დანაშაულთ, რაც გათვალისწინებულია წინა მუხლში აღნიშნულ სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აგვისტოს 7-ის დადგენილებაში, ამავე დადგენილებით დაწესებული სასამართლო რეპრესიის ღონისძიებანი, სახელდობრ: ა) მტაცებლობას—სოციალური დაცვის უმაღლესი ღონისძიება—დახვრეტა, რაც შემამსუბუქებელ გარემოებათა მიხედვით შეიძლება შეიცვალოს თავისუფლების აღკვეთად ვადით არა ნაკლებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათი წლისა, ყველა შემთხვევაში მთელი ქონების კონფისკაციით და ბ) ძალადობას და მუქარას, რასაც ჩაიდენენ კულაკური და სხვა, საზოგადოებრივ-მოწინააღმდეგე ელემენტები, ან ამ ელემენტების მოწოდებას ძალადობისა და მუქარისათვის კოლმეურნეების მიმართ, რათა ისინი აიძულონ გამოვიდნენ კოლექტიური მეურნეობიდან და ამით მიღწეულ იქნეს კოლექტიური მეურნეობის ძალით ჩაშლა—თავისუფლების აღკვეთა ვადით 5-დან 10 წლამდე, საკონცენტრაციო ბანაკში მოთავსებით.

ამ საქმეებზე მსჯავრდადებულთ ამნისტია არ შეეფარდებათ.

3. წინასწარ გამოძიებას სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნულ, 1932 წ. აგვისტოს 7-ის, დადგენილებაში ჩამოთვლილ ქმედობათა საქმეებზე აწარმოებს გამომძიებელი.

4. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აგვისტოს 15-ის რედაქციით დადგენილება ამავე საკითხზე (სსრ კან. კრ. 1932 წ. № 21, მუხ. 205; გაზ. „კომუნისტის“ 190 №-ი, 1932 წ. აგვისტოს 16-ისა) გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. ოქტომბრის 2.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნუსტის“ 230 №-ში 1932 წ. ოქტომბრის 3.

მთავლიტი № 2315. საქ. სახკომსაბჭოს სტამბა. დაკვ. 1400. ტირაჟი 1.400